საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გორგიძე ივანე ალექსის ძე

გორგიძე ივანე ალექსის ძე (დ. 12. VI. 1942, თბილისი), მეცნიერი ინფორმატიზაციის დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი (1990), საქართვ. საინჟ. აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი (1992), საერთაშ. საინჟ. აკადემიის ნამდვ. წევრი (1992), სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი (1986). დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი (1964). 1965–67 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. გამოთვლით ცენტრში, 1967– 71 – სსრკ მეცნ. აკად. მართვის პრობლემების ინ-ტში. 1978-იდან არის მისივე თაოსნობით შექმნილი ინფორმატიზაციის სამეცნ.-კვლ. ცენტრის დირექტორი. გ-ის სამეცნ. შრომები ეხება მეცნიერებისა და ტექ. ისტორიას, მართვის პრობლემებს, მართვის სისტემებს, ორგანიზაციული სისტემების აგებასა და მართვას. არის აქტ. სისტემების მართვის თეორიის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

თხზ.: Совершенствование планирования в активных системах, Тб., 1985; Методы повышения эффективности и качества функционирования автоматизированных информационно- управляющих систем, М., 2001 (თანაავტ).